

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშვილის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში. ძალაში გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ-წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი მან.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სტრუქტურულს და ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ლიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის კვირბაობით, ოთხშაბათობაობით და პარასკეობაობით

ოთხი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშვილის სახლში, № 6; გარეშე ქალაქებში — „დროების“ აგენტებთან. ფასი ოთხი თვის განმავლობაში 8 მან. 1 მკენისთედიამ მომავალი წლის 1 იანვრამდე — 3 მანეთი. მთელი წლის ნომრები მხოლოდ თრამდენიმე დარჩენილი, — ოთხი — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა — 1 მან.

## საქართველო

### ორთავსი

(დასასრული)

თავის პასუხში უფ. ნიკოლაძემ ორი ისეთი ჰაზრი წარმოსთქვა, რომელსაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით და რომლის გავრცელება ამ ჟამად ჩვენს საზოგადოებაში მანებებლად და უადგილოდ მიგვაჩნია.

და აი, დღეს ამ ორ საგანზე გვინდა უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ.

პირველი ამ მანებებელ ჰაზრთაგანი ის არის, რომ სადაც კი უნდა შრომობდეს და ცხოვრობდეს ქართველი კაცი, სულ ერთი არისო.

„სადაც უნდა იცხოვროს ან იმოქმედოს მამულის მოყვარე პირმა, ჩემის ჰაზრით, ყოველგან სასარგებლო იქნება თავის ქვეყნისთვის, თუ კი, სურვილს გარდა, იმისთვის ბუნებას ნიჭი, ცოდნა და ძალა მიუნიჭებია. რითიმე, როგორმე ყოველგან მოუტანს ის ხეობის თავის ქვეყანას, აქ იყოს, გინდ სტამბოლს, გინდ მადრიდს...“

რამდენჯერმე გამოუთქვამს „დროებას“ თავის ჰაზრი ამ საგნის შესახებ, და ის ჰაზრი, როგორც თვითონ უფ. ნიკოლაძე ამბობს, იმის ჰაზრს არ ეთანხმება.

„დროების“ ჰაზრი ეს არის:

ყოველი კაცი, რომელსაც კი გონიერულად ესმის თავის მოვალეობა სამშობლო ქვეყნისადმი, ვალდებულია ამ სამშობლო ქვეყანაში იმ-რომოს, ამას მოუტანოს ის სარგებლობა, რაც კი შეუძლიან, იმ ნიჭითა და იმ ძალით, რაც იმისთვის ბუნებას მიუცია; ვალდებულია იმით, რომ ამ ქვეყანამ შექმნა ის, ამ ხალხმა გაზადა ის კაცად, ამან მისცა იმას მოქმედებისა და ცხოვრების ძალა, და თუ რამე შეუძლიან, თუ როგორმე მოახერხებს, თავის ვალი უნდა დაუბრუნოს.

დაახ, ქვეყანა, ხალხი ყოველი თავის განცალკევებული წიერის კრედიტორია და ის, ვინც თავის ვალს არ უხდის იმას, ვინც თავის გონ-

ბას, თავის ნიჭს, და თვით ცხოვრებასა იმის სასარგებლოდ არ ხმარობს, ამისთანა წვერი უუპირველეს კაცობრიულ მოვალეობას ვერ ასრულებს.

ახლა მეორე მხარე ამავე საბუთისა: სად უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანა შემიძლიან ვთქვათ მე, ქართველ კაცს: აქ, საქართველოში, სადაც დავადებულვარ, სადაც აღვზდილვარ, საქართველოში, რომლის ხალხის ხასიათი, ბუნება, ჩვეულება, ცოტაც არის თუ ბევრი, გამიცენია, მინახავს, შემისწავლია, — ვკითხულობ, აქ, ამ ჩემ ქვეყანაში უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანა შემიძლიან, თუ მადრიდში, თუ ჩინეთში, რომლის ხალხსა და ბუნებას მე მხოლოდ წიგნებით ვიცნობ, რომელშიაც მამასადამე მე სრულიად ვერ მოეთავსებდი, რომლის ხასიათსა და ბუნებას ჩემი ხასიათი და ბუნება, ჩემი ჰაზრები, ჩემი მოქმედება სრულგებით ვერ მოუთავსდებინა?

— სტამბოლშიაც, მადრიდშიაც შემიძლება იცხოვროს მამულის შეიღმა და იქაც მოუტანოს თავის ქვეყანას სარგებლობაო, „თუ ბუნებას იმისთვის სურვილი, ნიჭი და ძალა მიუნიჭებიაო!“

შინ ამბობს, რატო არა! მაგრამ საქმე საზოგადო ჰაზრშია და არა განკარგობაზე. შემიძლება, საქმე საზოგადო კანონშია და არა ერთ-ერთ მოვლინებაში! და ეს საზოგადო კაცობრიული კანონი კი უეჭველად იმას თხოვლობს, რომ კაცი თავის ქვეყანაში მოქმედებდეს, რადგან აქ იმის მოქმედებას უფრო მეტი ნაყოფის მოტანა შეუძლიან.

თქვენ თითონვე ამბობთ ამას, უ. ნიკოლაძე:

„მართალია, ჩვენის ქვეყნისათვის ის უფრო ეფუძნება, რომ მისი ჩინებულად ნასწავლი და დახელოვნებული შეიღები მასშივე შრომობდნენ, დანარჩენ მის შეიღებს პირ-და-პირ ეხმარებოდნენ, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მე ოც-და-ათს შინაურს უმეცარს ერთი გასული ნასწავლი მიჩვენებ.“

სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენებური კაცი, რუსეთში პროფესორად გამხდარი, ერთს ჩვენებურს სტუდენტს ხელს მაინც გაუწყობს, ერთს ჩვენს უმაწვილს მაინც დაიხარავს და შემწეობას მისცემს თავის ვალდებით. პირველი ნახევარი უფ. ნიკოლაძის წინადადებასა სრულგებით ეთანხმება ჩვენს ჰაზრს; მართლაც, ჩვენ გონება-გახსნილ, მომქმედ და საზოგადო სარგებლობის გამგე პირებსე ვამბობთ და არა ისეთებსე, რომელნიც უსაქმურად დაეხეტებიან ქალაქებში, გინდ სოფლებში და ცოდვილ დედა-მიწას

ამძიმებენ და ცუდად პურს სჭამენ. ამისთანა პირები სადაც უნდა სცხოვრობდნენ, სულ ერთია, ყველგან მაინებელი არიან, და რაც უფრო ცოტა იქნებიან ჩვენში, რასაკვირველია, მით უფრო გასახარებელი და სასიამოვნოა.

მაგრამ მაგალითი რომ მოგვყავთ, ყოველი მაგალითი ერთგვარ პირობებს თხოვლობს: პროფესორი რუსეთში დაყენეთ, უმეცარი, ბაიყუში ჩვენში, და ერთმანეთს ადარებთ? ამას შედარება არ ჰქვიათ. შედარება ის იქნება, როცა თქვენ მეტყუით — თუ იგივე პროფესორი ან რომელიმე სხვა „ნასწავლი და დახელოვნებული“ კაცი ჯერ რუსეთში ან სხვაგან სადმე აცხოვროთ და მერე კი ჩვენში, იმის სამშობლო ქვეყანაში. როგორ გგონიათ, სად უფრო სარგებლობას მოიტანს ეს კაცი?

„სხვა არა იყოს რაო, იქ ერთს სტუდენტს მაინც ხელს გაუწყობსო!“ საქმეც იმაშია, რომ „იქ“ შეიძლება მხოლოდ ის სარგებლობა მოიტანოს, რომ ერთს ჩვენებურ მოსწავლეს გაუწყობს ხელი და ჩვენში კი ამავე სწავლულს, მთელი ქვეყნის სასარგებლო საქმის წაყვანა თუ არა, ათი და ასი ახალგაზდის სწორი, წინ-წამ-წევი გზის ჩვენება მაინც შეუძლიან.

უფ. მაჭახელიძის საბუთი, ამ შემთხვევაში, ურიგო საბუთი როდია: იქ, სხვა ქვეყნებში ჩვენ ჩვენის სწავლითა და მოხერხებით ვერას გავაკეთებთ, რადგან ჩვენისთანა და უფრო მომეტებული სწავლულნიცა და დახელოვნებულნიც ათასობით არიან და ჩვენში კი თითო-ორი-ორი-ორი ითვლება.

შს პირველი.

მეორე შემცდარი ჰაზრი უფ. ნიკოლაძისა მდგომარეობს იმაში, რომ სულ ერთია, რა ენაზედაც უნდა სწეროს ქართველმა, ყოველ ენაზედ შეუძლიან იმას თავის ქვეყნის სარგებლობის მოტანაო. ამის დასაბუთებლად იმას შემიძლება მსჯელობა მოჰყავს:

„ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთთან არის შეერთებული...“

ნუ თუ სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ რუსეთში არ იცადეს ჩვენი მდგომარეობა? ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ღირსეული ჰაზრი ჩვენზე შეიღდნონ არათუ მართო რუსეთში, მაგრამ მთელმა მერობამაც მამასადამე ნუ თუ საჭირო არ არის, რომ ქართველები სწავდნენ რუსულ და ევროპულ ენებზე, აგებინებდნენ რუსეთს და მერობას ჩვენს ხასიათს, ჩვენს მდგომარეობას, მიმართულებას, სურვილს, ღონისა და დარდს? „...შს უკანასკნელი შრომა (ე. ი. უც-

ხო ენებზედ წერა) ყველასთვის, ვისაც კი ცოტადნაო ესმის პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებები, თითქმის იმოდენათვე აუცილებელი და საჭიროა, როგორც პირველი“ (ე. ი. ქართულს ენაზე წერა.)

სხადია, რომ, თუ „დროებას“ ლოლიკა აქვს, აქაც იმავე საზოგადო მსჯელობით უნდა ხელმძღვანელობდეს, როგორც ხვეით მოყვანილს შემთხვევაში.

ქართველი ყველაზე პირველად ქართულად წერის მოვალეა, ისე როგორც ფრანკუზი ფრანკუზულად წერისა, რუსი რუსულად, ინგლისელი ინგლისურად და სხე.

შს მოვალეობა წარმომდინარეობს იქიდან, რომ ვისაც უნდა თავის ქვეყანას რამე ჩააგონოს, თავის ხალხს რამე ასწავლოს, თავის მოძმეებს რომელიმე კეთილი და სასარგებლო ჰაზრი აცნობოს და გონება გაუხსნას, უეჭველია, იმ ენაზე უნდა აუხსნას, ელაპარაკოს, ექადაგოს, რა ენაც იმისთვის უფრო გასაგებია, უფრო მისახდომი.

მაგრამ „დროება“, მეორეს მხრით, არასოდეს არ ყოფილა იმ ვიწრო ჰაზრის მიმდევარი და თავყანის მცემელი, რომ ჩვენი ქვეყანა „ჩინეთის კედლით“ შემოვლულდოთ, ნურავის ნუ ვაცნობებთ ჩვენს ქვეყანას, ხალხის ხასიათს, ჩვეულებას, საჭიროებასა და სხე. ჩვენ ყველაზე პირველად დაუმაღლებთ და ტანს დაუკრავთ იმ პირს, ქართველი იქნება ეს პირი, თუ ნემეცი, თუ გოტენტოტელი, რომელიც ამ ჩვენს ქვეყანასა და იმის ხალხის ღონისა და დარდს, საჭიროებას მთელს დედა-მიწაზედ მოუფენს. ამით, თუ არ სარგებლობა, უეჭველია, ენება არა იქნება რა.

მაგრამ „დროება“ ამასთანავე ერთს რასმე ჰტიქრობს და იმას ჰგონია, რომ ეს იმის თქირი ყველასთვის ყურადღების ღირსია:

„დროება“ ჰტიქრობს, რომ ჩვენი ქვეყანა ამ ჟამად განსხვავებულ გარემოებებშია, რომ ეს მდგომარეობა მოითხოვს, და მოითხოვს აუცილებელად, რომ ყველა იმის შეიღები, განსაკუთრებით ყველა გონება-გახსნილი და ნასწავლი შეიღები მეცადინეობდნენ, მალე გადააბიჯონ ამ მდგომარეობას. აი რაშია საქმე:

ზაინელ-გამონებლეთ თქვენს გარემო, უფ. ნიკოლაძე: როგორ მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა? რა გვარი თანამედროვე საზოგადოება გარს გვახვევია ჩვენ? ზანსაკუთრებით გთხოვთ დააკვირდეთ ახლანდელ ახალგაზდობას.

რა შედეგი გამოგვყავთ თქვენ ამ დაკვირვებ-საგანს? როგორ გჩვენათ



ეს ქვეყანა? როგორ მოგწონთ ეს თაობა? როგორი მიმართულება აქვს ჩვენს ახალგაზდობას—ჩვენი ქვეყნის მომავალ იმედსა და დედა-ბოძს?

მანა ყველგან არ ჰხედავთ, რომ ქართველ ქვეყანას ჩვენისავე წყალობით ქართველ ქვეყნის ხასიათი ეკარგება? მანა ყოველ ნაბიჯზე არ შეგინიშნავთ ხოლმე, რომ ქართველი კაცი ქართველი კაცი აღარ არის! მანა ვერ ამჩნევთ, რომ ჩვენი ახალი თაობანი თან-და-თან ჰკარგვენ თავის ნაციონალურ ხასიათსა, თავის განსხვავებულ ფერსა და შეხედულობას? ნუ თუ ვერ ატყობთ რომ ჩვენის უმცირესობით და დაუდევრობით რაღაც უცხო, შერეული ტონი ეხდებით, რომ ჩვენ ჩვენი განსაკუთრებული თვისებანი თან-და-თან გვიძვრება ხელიდამ და მათ ნაცულად სხვას, გარეშეს, ჩვენი თვის უცხო თვისებებსა, ხასიათს, ჩვეულებას და ყველაფერს ვითვისებთ?...  
**მთ** ყველა ამას ჰხედავთ, მაშინ თქვენ უნდა დაგვეთანხმდეთ, რომ ამისთანა დროში, მამულის ნამდვილ შეიღებებს, გონიერ მოწინავეთ საზოგადოებისა ცოტათი უფრო სხვა, უფრო მძიმე მოვალეობა აწევთ, ვიდრემ მაშინ, როცა ხალხის ცხოვრება რიგვანის, ჯგროვანის, მსვლელობითა და გზით მიდის.

„დროება“ ჰფიქრობს, რომ ამისთანა დროს განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყოველი ქართველი ქართველობის დარჯად იდგეს, რომ იცავდეს ყოველ მცირეც არის ქართველობის თვისებათა და განსხვავებულს, თუ ესენი საზოგადოების მანერბელი არ არიან; ის ჰფიქრობს, რომ ახლა საჭიროა, რომ ქართველმა ქართველზედვე იზედმოქმედოს, გააღწეოს იქონიოს, გამოაღვიძოს, თვალები გამოაჭყეტინოს, დაახანოს მრუდი გზა, რომელსაც ის უპსკრულში, გაქარწყლებილსა მისკრულსა და ეცადოს უფრო სწორს გზაზე დაყენება, უფრო მოსახდენ საშუალებათა მოძებნა და ხმარება ამ გზისათვის; ის ჰფიქრობს, რომ ამისთანა დროში ცოტათი უფრო გარდამეტებული მამულის სიყვარულიც უაღაგო არ არის...

ქართველი კაცი ცოტათ თუ ბევრად თავმომწონდა; ყველა მწერალს ჰსურს, რომ რაც შეიძლება მომეტებული მსმენელი და მკითხველი ჰყავდეს; რომ იმაზე, იმის ჰაზრებზე და მსჯელობაზე თუ შეიძლება მთელი ქვეყანა დაპარაკობდეს. მიწრო წრე, პატარა საზოგადოება იმას არ აკმაყოფილებს, ფართო ასპარეზი უყვარს.  
**მს** არის, ჩემის ჰაზრით, უმთავრესი მიზნები, რომ ზოგიერთი ჩვენი ვაჟბატონები უცხო ენებზე იწყებენ წერასა.  
— **იქ** მთელს რუსეთს ესმის ჩემი სიტყვა, იქ მთელი საფრანგეთის ჟურნალისტიკა დაიწყებს დაპარაკ ჩემს ჰაზრებზე, ქვეყანას ავაყაყანებ! აქ რა! ძალიან საჭიროა, თუ ერთ-ერთ ჩართუქესან ტიპუცა ქართულში ან იმერელში წაიკითხა ჩემი სტატია ან ჩემს ჰაზრებზე თუ გამოსტევა თავის ნებრული მსჯელობა!

მართი მიხედვით, უფ. ნიკოლაძე, ის ქართველი, რომელსაც უცხო ენაზე ეწეროს და ამით მაინც-და-მაინც შესამჩნეველი სარგებლობა მოეტანოს ჩვენის ქვეყნისათვის! მიხედვით, და ამასთანავე ისიც დამიმტკიცეთ, რომ ეს კაცი უფრო ნაკლებ სარგებლობას მოუტანდა თავის ქვეყანას, თუ რომ მართლ საშობლო ენაზედ ეწერა. არა მგონია, რომ ამისთანა ქართველი მიხედვით და ეს დამიმტკიცოთ. **მქვე**, უფ. ნიკოლაძე, ხო ნიჭიერი მწერალი ხართ და ამასთანავე ხომ სხვებზე უკეთაღ გესმისთ ის სარგებლობა, რომელიც, თქვენის ჰაზრით, ქართველს შეუძლიან რუსულს და ევროპიულს ენებზე წერით; მაგრამ ნუ გეწყინებათ, და ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ თქვენს რუსულსა და ფრანკულს ნაწერებში თქვენი ქართული ნაწერის მეოთხედსაც არ გავსცელი, არ გავცელი იმიტომ, რომ ქართული წერით თქვენ ათი იმდენი სარგებლობა მოუტანეთ ჩვენს ქვეყანას, რამდენიც უცხო ენებზე წერით, თუმცა უცხო ენებზე მგონი უფრო მომეტებულიც გიწერიათ, ვიდრემ სამშობლოზე.

მქვენი მაგალითი თუ ამას გვიმტკიცებს, თქვენს უცხო ენებზე ნაწერებს თუ თითქმის ასე უნაყოფოდ ჩაუვლია ჩვენის ქვეყნისთვის, თქვენის, რომელსაც შესამჩნევი ნიჭი გაქვთ მწერლობისა, მაშ რაღა უნდა ესთქვათ სხვებზე, რომელთაც არც თქვენისთანა ნიჭი აქვთ, არც თქვენსაგან არიან გონება-გახსნილი და არც თქვენსაგან მოყვარენი სამშობლო ქვეყნისა?!

რომ თქვენს უცხო ენაზე ნაწერს, იქნება, სარგებლობა არამოეტანოს რა

მართს ალბათ თავის სტატიაში უფ. ნიკოლაძეს შემდეგი სიტყვები აქვს მოყვანილი:  
„მე დიდი იმედი არა მაქვს ჩვენი მამულის მომავლისა; მაგრამ ის კომტიკეთ მრწამს, რომ ჩვენი მდგომარეობა ჩვენმა ახალგაზდობის მკიცე, შეერთებულმა შრომამ უნდა გააუმჯობინოს.“

**მთ** დაც რომ მართალი და ნამდვილი იყოს უფ. ნიკოლაძის სიტყვა, რომ იმას ჩვენი ქვეყნის იმედი არა აქვს, ეს მწარე სიტყვა მაინც არ უნდა ეთქვა. არ უნდა ეთქვა განსაკუთრებით უფ. ნიკოლაძეს, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში სამართლიანი რწმუნება და სახელი დაუმსახურებია. არ უნდა ეთქვა განსაკუთრებით იმიტომ, რომ გულს მოუკლავს კაცს ამგვარი იმედგადაწყვეტილი და სასოწარკვეთილი აზრის გაგონება!

რა ენერგია, რა ცხოვრების ხალისი უნდა ექნეს ახალგაზდობას იმ საზოგადოებისათვის, რომელზედაც იმას ეუბნებიან? ან, ღმერთო ჩემო, რამ ჩაუწერა გულში ახალგაზდა ნიკოლაძეს ამისთანა სასოწარკვეთილი, უიმედო ჰაზრები თავის სამშობლო ქვეყანაზე? რომელმა გაუსწორებელ გარემოებამ აფიქრებინა ამას, რომ ჩვენ მომავლის იმედი უნდა დაგვზინდოთ, გულ-ხელ-დაკრეფილი უნდა უცადოთ ჩვენს უნებგეშო მომავალსა?

მართალია, ბევრი უნუგეშო მოვლენაა ჩვენს აწინდელ ცხოვრებაში, ბევრი ისეთი ნიშნებია, რომელსაც ხეირიანი ბოლო არ ექნება; მაგრამ ეს სამაგელი და უნუგეშო მოვლენანი უფრო უნდა გვაძინებდნენ ჩვენ იმათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის, უფრო მაგარ სულს უნდა გვიღვამდნენ, უფრო მომეტებულ ენერგიას უნდა გვაძლევდნენ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი ბედნიერებისა და წარმატების დამარკოლებელი მოვლენანი თავიდან ავიშოროთ და იმ ბედის ვარსკვლავს მივსდეთ, რომელიც ყოველ სამშობლოს მოყვარე შეიღოს შარიდამ უნდა უნათებდეს თავის ცხოვრებისა და მოქმედების გზასა...

ამით ვათავებთ, ჯერ-ჯერობით, ამ სასიამოვნო პოლემიკას. მამობ „სასიამოვნოს“ ამიტომ, რომ ჩვენს ლიტერატურაში ჯერ ისე პოლემიკა და ბაასი არ ნახულა, რომ მოზაასეთ ერთმანეთის ლანძღვა, გინება და პირადობაზე უშეერი სიტყვები არ წამოესროლოთ. აქ კი წმინდა ჰაზრებზე, პრინციპებზე იყო სჯა და თუ გაგრძელდა, შემდეგშიაც, იმედი გვაქვს, ამ გზას არ გადავსცილდებით.  
მეგობრებმა, ერთს გახეთში თანამშრომლებმა მეგობრულად დავიწყეთ სჯა ისეთს საგნებზე, რომლის ყოველმხრივი გაცნობა ჩვენი

საზოგადოებისათვის უსარგებლოდ არ მოგვარდება, ეს ბაასი, თუნდაც რომ ხანდისხა

ცხარე კილოთი ყოფილიყო, მაინც იქამდინ არ მიადწევს, რომ ჩვენ— მოზაასენი ერთმანეთს დაეშორდეთ, რომ ჩვენ შემდეგშიაც იმ საშუალებითვე და იმ ღონისძიებით არ გიხრუნოთ ჩვენი საზოგადო სამშობლო სათვის, როგორც აღრე ვზრუნავდით. ზოგიერთს ჰაზრებში უთანხმოება, ზოგიერთს მსჯელობაში განსხვავება ჩვენ საზოგადო სამსახურსა და მოვალეობას არ დაგვაფიწყებს და არც პირადათ ერთმანეთზე გულს აგვიტრუებს.

მაშ ჩვენი მტრები ნუ გაიხარებენ; ნუ აუფანტკალდებთ სიამოვნებით გული და ნუ იფიქრებენ: „არ იქნა, ღმერთი შეგვეწია, „დროების“ თანამშრომელი ერთმანეთს დაერივნენ და ჩხუბობენა! ბევრმელოა!

ზოგიერთს ჰაზრებში უთანხმოება არც ჩხუბია და არც ერთმანეთის დარევა. მს მხოლოდ პოლემიკა და, ვიქმარებთ, რომ ამგვარი პოლემიკა ჩვენ თუ არ დაგვაახლოებს ერთმანეთს, თუ უფრო არ გვაძსახურებინებს ერთისა და იმავე მიზნისთვის, თორემ ჩვენი დაშორება ამას არ შეუძლიან.

ს. მესხი

დღიური

ამას წინათ ჩვენ რომ გამოვაცხადეთ, რომ ზუმბრის (პლექსანდროპოლის) გზაზე მიმავალი მეურნეები დაუჭერიათ თათრებს და წაუყვანიათ, ის მეურნეები შინდისელი გლეხები ყოფილან და ახლა თავი დაუხწყვიათ იქილამ და ყველანი შინ დაბრუნებულან.

ჩვენ შევიტყეთ, რომ წელს აქაურს სასულიერო სემინარიაში სამოც მაგირდამდინ მისულა ეგზამენის დასატყრად და ამ სასწავლებელში შესასვლელად, და ამ რიცხვში, როგორც გვითხრეს, ოც-და-ათი ყმაწვილი მიუღიათ.

მთილისის ახლო-მანლო სოფლებილამ გეწერენ, რომ შალაქის კინტოებისაგან მოსვენება არა გვაქვსო; მუდამ ღამ და ხან დღისითაც შემოიპარებიან ჩვენ ვენახებში და ბალებში და თუ ყურძენსა და თუ ხილს გეტაცებენ და იპარავენო. მანსაკუთრებით ხშირად ხდება თურმე ამისთანა შემთხვევები სოფელს წყნეთში.

შალაქში ცოტა ფქვილმა აიწია და ამის გამო მეთორნებმა და მეფურნეებმაც სამ კაბიკ ნახევარი გახადეს გირვანქა თეთრი პური.

სურამელი ჩენი კორესპონდენტი, უფ. ასლანოვი, გვწერს, რომ თუმცა ამას წინათ თქვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, რომ ბორის უფნდ-ში ქურდობა სულაობით მოიპოვო, მაგრამ მე კი აქ სხვა ვხედავო: ამ ჩვენს სურამის საპრისტოლოში მიხეც ძალიან უჩივიან გლეხები ქურდობის განხორციელებას. სხვათა შორის, ამას წინათ ერთ აქაურ მემამულეს თავადი შეიღეს, ცხენით მიჰყავდა, სურამსა და ხაშურს შუა, სამი ავაზაკი თავს დასცემია, ფულსაც ამოუკლიათ, ლაზთიანადაც უცემიათ და რომ სხვა მგზავრები არ მისწრებოდნენ, ვინ იცის, იქნება კიდევ მოჰკლავდნენო.

ამ გვარსავე ქურდობისა და ავაზაკობის განხორციელებას გვწერენ მზურგეთიდანაც. ლექსებს ამტყვევენ, მცხოვრებლებს თავს ესხმებიან და იტაცებიან, ქურდობენო. კორესპონდენტი აღგილობრივ უფნდის ადმინისტრაციას ვმდურის, რომ ჯეროვან, ენერგიულ განკარგულებას ვერ ახდენსო.

ლეს, კვირას, 19 სექტემბერს აღექსანდროვის ბაღში ერხელ კიდევ იქნება გამართული სახალხო სერნობა ბალკანის ნახევარ-კუნძულის სლავიანების სასარგებლოდ. ბალი ფანრებითა, ბენგალის ცეცხლით და ელექტრონის სინათლით იქნება განათებული. სერნობა ნასადილევის 4 საათზე დაიწყება. ბაღში შესვლა ორ შაურად ეღირება.

## უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. დროებით მორიგების გაგრძელება ვერ მოხერხდა; გავიდა თუ არა რვა დღე დროებით მორიგებისა, მებრძოლთა იმ წამსვე დაიწყეს საომრად მზადება და 16 (28) სექტემბერს სერბელებსა და ოსმალოებს უკვე ჰქონათ შეტაკება აღექსინაცსა და დელიგრადს შუა.

მეროპის სახელმწიფოები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ, და ახლაც ხმარობენ, რომ როგორმე ბრძოლა მოსპონ; მაგრამ ოსმალოებს მთავრობა არ თანხმდება იმ მორიგების პირობებზე, რომელიც მებრძოლებსათვის მეროპის უმთავრეს სახელმწიფოებს წარუდგენიათ. სერბიაც თავის მხრით ოსმალოებს პირობების მიღებაზე უარს ამბობს.

ამნაირად ბრძოლა ხელახლად დაიწყო და ორივე მოწინააღმდეგე მხარეები ზამთრისათვის ამზადებენ ყოველგვარ საბრძოლველ იარაღებსა და მასალებს.

## სამღვდლომების კრება ქუთაისს (დასასრული)

მა ქალაქი რუსულათ იყო დაწერილი.

პირველათ იყო წაკითხული სამი წევრის დათხოვნის ქალაქი, რომელშიაც ეს წევრები ამტყუებდნენ ზედამხედველს სხვა და სხვა საქმეებში. შ. ასათიანს აბრალდებენ, რომ სწავლა კარგად არ მიდის, წესი არ არის დატული სასწავლოებში. ამასთან ემდურებიან მაზე, რომ ის ცუდათ იქცევა სხდომების დროს და თავის მოქცევით წევრებს ჰკიცხავს. შევლა ამა მიზეზებისა ვამა, რომ მათ პასუხი არ აგონ სენიდიის და მმართველობის წინაშე, ქალაქს აძლევდნენ და განთავისუფლებას თხოულობდნენ სასწავლებლის წევრობისაგან მით ნამეტურ, რომ ვითომც ქალაქდებშია ცი მიიღეს რალაც მოწინააღმდეგობა სამმართველოს საქმეშია. რეზოლიუციისაგან არა სჩანს, რომ ზედამხედველი არ ყოფილიყოს მართლა ზოგერთში დამნაშავე, მაგრამ არც წევრები რჩებიან შეუნიშნავად მისთვის, რომ ზედამხედველის ვითომ ოჯახობის საქმეს შეეხებენ. ამასთან ბრძანებს რეზოლიუციას: მიეცეს წინადადება სამღვდლოების ყრილობას სხვა წევრები აღიჩინონ და ისინი უთუოდ დარჩნენ ყრილობამდისინ.

ამაზე მიწერილება გაგზავნილა სასწავლებლის სამმართველოში რაპორტის პირითურთ.

სასწავლებლის სამმართველოს მოუხმენია ეს მიწერილობა, შეუდგენია ყურნალი, მაგრამ ყველა თავის აზრზე დამდგარა გარდა ზედამხედველის თანაშემწისა. მათს წევრს ზედვე დაუწერია თავის ჰაზრი: „მე მორჩილობით მიმიღია ჩვენ შეტანილ რაპორტზე დასმული რეზოლიუციით, მაგრამ კანონის ძალით არ არის რიგი გამოუძიებლად დარჩეს ის, რასაც ეწერდი ჩვენს რაპორტში ზედამხედველზეო.“

ქმეორე ამბობს რომ მე ჩემის ცნობითა და შეხედულობით ვხედავ რომ ზედამხედველი არ არის თავისი ადგილის შესაფერი კაცი და ძლიერ საზარალო არის სასწავლებლისათვის მისი ზედამხედველობა. მე რამდენიც უნდა შემიწინაოთ, ის მაინც ვერ გასწორდებაო.

მესამე ამბობს: „მე არასოდეს არ დამიწერია ცალკე აზრი და სულ გულ-გრილად უყურებდი სასწავლებლის საქმესო, მაგრამ მე უკანასკნელი მოთმინებაც გამიწყდო და არა თუმე, ანგელოზები რომ ჩამოიყვანათ ზეცილამ, ისინიც კი დაიწყებენ ზედამხედველის უწესო მოქცევაზე ქადაგებას და ყვირილსაო. მაგის ხელში უკუდამა თუ მიდის სასწავლებელი, თორემ წინ არ მიდისო. ჯერ ყურადღებას არავენ აქცევს, მაგრამ ბოლოს ნანობისაგანაც არა გამოვარაო. შეიან იქნებაო, და სხვანი.“

მხლა მოდვა თითონ ზედამხედველი და წაიკითხა თავისი რაპორტი და არა აზრი, დაწერილი ძლიერ წერილი ხელით მწერლისაგან თითქმის ხუთ ფურცელზე, რომლითაც იმედი

ჰქონდა ყველას გაამტყუნებდა მით და სამღვდლოებს ცხადათ დაუბრუნებდა, რომ იგი ყველაში მართალია, რაშიაც ამტყუებდნენ. იი, სხვათა შორის იმისი რაპორტის სიტყვები წევრებს რაპორტისა და აზრების გამამტყუნებელი.

იქას იმედი ჰქონდა, რომ ცხადათ დაანახებდა შეკრებილებს თავის ნიქს, გამოცდილებას და სიმართლეს, რომლის გაგების შემდეგ ყველანი მადლობას შესწირავდნენ და სხვა და სხვა გამოთქმულს სიტყვებს ყველანი უკან წაიღებდნენ! ისე კითხულობდა თავის დაწერილს რუსულად რაპორტს ქართულად, როგორც წყალი. რამოდენიმე სიტყვების შემდეგ მოჰყვა იგი: „ცნობილ არს, რომ ნორჩი თაობა იზრდება არა სიტყვითა მართო არამედ თავის აღმზრდელების ცხოვრებითაცა. დაკარგენ ის დრონი, როდესაც შიშით და სასჯელით ფიქრობდნენ შეესუსტებინათ ბოროტება, შეეციკრებინათ რიცხვი სჯულის და საზოგადოების კეთილ მდგომარეობის დამარღვეველთა პირთა.“

„მხლა დამტკიცებულია, რომ არც სახორციელო და არც სასულიერო ლიტერატურას შეუძლიან არა გასწორება სრულებით ტენში და ძელოში გაწეულ საზოგადოების წამხდარი მდგომარეობისა. ამისთვის დღეს ყველა სასოება არის დადებული კაცობრიობის გადაკეთებისა უკოლებზე. დიდი განათლებული პირების აზრით უკოლას და მხოლოდ ერთ უკოლას შეუძლიან გამოგვიყვანონ ჩვენ ენლანდელი ცუდი მდგომარეობისაგან და მიგვაქციოს ჩვენ ჭეშმარიტებისა და კეთილისადმი. დიდი განათლებული პედაგოგების წარმოდგინებაში უკოლა არის გამოხატული იმ წმინდა ემზახათი, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან გასწმინდოს ჭუჭუი, განსპეტაკოს და გააკეთილშობილოს ენლანდელი დროის კაცობრივობის საზოგადოების მდგომარეობანი და წამხდარი და ზნეობით დაცემული კაცისაგან დაბადოს ჭეშმარიტი და ზნეობით ამალეებული ქრისტიანი, სასარგებლო კაცი ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის.“

„მაგრამ ეს მაშინ მოხერხდება, როდესაც თვითონ მასწავლებელი იქნებიან შემკულნი კარგი ზნეობით და თვისებითა. მოკლინებთ გარდაცემა შეგირდებთადმი და იქმნებიან სრული ჭეშმარიტი ქრისტიანნი, რომელნიც მისცემენ კეისრისას კეისარსა და ღეთისას ღმერთსა.“

ამისაშემდეგ არის ოცდა-თუთხმეტამდისინ კითხვითი მუხლები და ვის კითხავს, ვერ გაეგვი, რომელშიაც ამბობს, რომ სასწავლებელი კარგ მდგომარეობაში არისო და მას შინა უწესობა არ არისო. მაგრამ ბოლოს ამბობს რომ სასწავლებელში, რომ ანარხია და უწესობა არის, არ ამტყუებს ჩვენების და უჩიტლების ქალაქდებო. „წევრების სიტყვები, ამბობს იგი, როგორ უნდა შევთანხმდეთ მოციქულის სიტყვას, რომელიც ამბობს: „ყოველნი ხელმწი-

ვებას მას უმთავრესისასა დამორჩილენ, რამეთუ არა არს ხელმწიფე ბაი გარნა ღეთისაგან და რამდენიმე არიან ხელმწიფებანი ღეთისა მიერ განწესებულ არიან. ამიერიდგან რომელი ადგებოდეს ხელმწიფებასა, ღეთისა ბრძანებასა ადგების. (რომავლთა, თავი 13. 1-3 და კიდევ: ვინაიცა ჯერ არს და მორჩილება არა მხოლოდ რისხვისათვის, არამედ განებისათვისცა იგი ყოველი რომავლთა (თავი 13-5-6).

ბევრი ილაპარაკა ზედამხედველმა, მაგრამ უმთავრესი აზრი მის სიტყვებში გამოდიოდა ის, რომ უკოლები ძლიერ სასარგებლო არიან. რაც შეხება წევრების ანუ მასწავლებლების უთანხმოებას, მათ გასამტყუნებელად მოიყვანა სამღვდლო წერილის სიტყვები: არ არის თანამდებობა, რომელიც ღეთისაგან არ იყოს დადგენილი და ყველანი ქვეშევრდომნი უნდა ემორჩილონ მასო. მინც აუდგება და ცუდს რამეს იტყვის რომელიმე თანამდებობის პირზე, ის არათუ იმ თანამდებობის პირს, თვითონ ღმერთის წინააღმდეგიაო. შევლა სლავიანები, ზედამხედველის სიტყვით, სულ დასახვერტნი არიან, ამისთვის, რომ ხეანთქარი ღეთისაგან არის დადგენილი და ვინც მას ეწინააღმდეგება, ღმერთს ეწინააღმდეგება!! არა!! ჩვენ რომ ფულით ვეწვეით თურმე, დიდ ცოდვაში ვვარდებით!! შაი სულა წაწყენილიო!...

როდესაც მღვდლებმა დეპუტატებმა შოისმინეს ესეები, მის მეტი შენი მტერი ნუ არის, რაც მაზე აზრი არ შეეშალოს მათ არა თუ შეშალოს უშეფლებელი ქალაქი გააკეთეს და სთხოვეს ყოველად სამღვდლოს დათხოვნა მისი ანუ გამოძიების კამისის დანიშვნა.

მიდრემდის გამოძიება არ დანიშნება და მანებელი სასწავლებლისთვის პირები არ იქმნებიან გაყრილნი, ჩვენ არაფერზე მსჯელობას არ დაეცდებთო. ჩვენ საქაოდ დავინახეთ თვითონ სასწავლებლის ზედამხედველისა წიკითხულისაგანო, რომ სასწავლებელი წვალობს და ცუდ მდგომარეობაში ყოფილა უთაურობითაო.

საჭიროთ აღარ ესთელი დავსწერო ყველა ის, რაც იქ ითქვა, ქალაქი რომელიც დეპუტატებმა შეიტანეს ყოველად სამღვდლოსთან, როგორც ამბობენ, ამ კვირაში იგზავნება მისს მაღალ ყოველად-უსამღვდელოებს საქართველოს ექზარხოს მესციესთან, რომლითაც სთხოვენ გამოძიების დანიშვნას.

იმერეთის სამღვდლოებს იმედი აქვს, რომ უსარგებლო პირი იქნებიან განმორებული სასწავლებლისაგან და მის ნაცვლად სხვა უფრო თავიანი კაცი მიეცემათ.

უკანასკნელ დღეს, ე. ი. 20 აგვისტოს, მე აღარ ვყოფილვარ იქ და რა ილაპარაკეს არ ვიცი, მაგრამ ვისაც ნახამდი დეპუტატთაგანს, ძლიერ მომდურავი იყენენ სასწავლებლის უფროსისა...

მართი მასწავლებელთაგანი

